ქ.თბილისში, სოფ.დიღომი (ნაკვ.№211), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კორექტირებული კონსტრუქციული ნაწილის

საექსპერტო დასკვნა

ქ.თბილისი 16 დეკემბერი 2015წ

შპს „ალდა ჯგუფი“-ს მიერ ექსპერტიზაზე წარმოდგენილ იქნა ქ.თბილისში, სოფ.დიღომი (ნაკვ.№211), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციული ნაწილი, რომლის მიხედვითაც მოიხსნა მე-10 სართულზე განთავსებული ბინა და მისი ფართი გადანაწილდა მე-9 სართულის ღია ვერანდებზე.

საცხოვრებელი სახლის შენობა წარმოადგენს კარკასული ტიპის ნაგებობას ჩარჩო-კავშირებიანი სისტემით. საცხოვრებელი სახლი 10 სართულიანია, მიწისქვეშა ავტოსადგომების სართულით. შენობა გეგმაში რუსული „Г“-ს ფორმისაა, გაბარიტული ზომებით (28.70X29.20)მ. სარდაფის სართულის სიმაღლე 3.30 მ-ია, I სართულის სიმაღლე 4.90 მ, ხოლო ტიპიური სართულის სიმაღლე 3.20 მ-ია.სვეტების ბიჯი 6.5; 6.4; 4.6; 4.4; 3.3 მეტრია.

პირველადი პროექტის კონსტრუქციულ ნაწილში საავტორო ჯგუფის მიერ მიღებულია შემდეგი სახის გადაწყვეტები:

1. საძირკვლები – შენობა დაფუძნებულია ხელოვნურ ფუძეზე (1.5/2.5მ სისქის შრეობრივად დატკეპნილ მდინარის ხრეშის ფენა) მონოლითური რკ.ბეტონის საძირკვლის ფილაზე სისქით 80 სმ, რომლის ქვეშ მოწყობილია 10 სმ სისქის ბეტონის მომზადება. ავტოფარეხების ერთსართულიანი ნაწილი დაფუძნებულია მონოლითური რკ.ბეტონისწერტილოვან საძირკვლებზე, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია საძირკვლისკოჭებით. საინჟინრო გეოლოგიური დასკვნის საფუძველზე ხელოვნური ფუძის ქვეშ გრუნტი წარმოდგენილია უმეტესწილად თიხების სახით (R_0=2.70კგძ/სმ^2), ხოლო მცირე ნაწილში სუბარგელიტებისა და ქვიშაქვების შრეობრივი მორიგეობა ($R_ჯ$=7.3კგძ/სმ^2)
2. სვეტები – მონოლითური რკ.ბეტონის 4.900-დან 18.100 ნიშნულამდე (60X60) სმ, 4.900 –დან 18.100 ნიშნულამდე (50X50)სმ, ხოლო 18.100 ნიშნულის ზევით (40X40)სმ.
3. რიგელები – მონოლითური რკ.ბეტონის კვეთით (40X70h)სმ,(40X50h)სმ, და (25X50h)სმ.
4. გადახურვები – მონოლითური რკ.ბეტონის ორმაგი უწყვეტი არმირებით. ფილის სისქე 0.000 ნიშნულზე 22 სმ-ია, ხოლო 4.900 ნიშნულის ზევით – 18სმ.
5. სარდაფის კედლები – მონოლითური რკ.ბეტონის სისქით 30სმ.
6. დიაფრაგმები – მონოლითური რკ.ბეტონის სისქით 30სმ.
7. კიბეები – მონოლითური რკ.ბეტონის კიბის მარშები და მოედნები.
8. კედლები – 1200 კგ/მ^3 მოცულობითი წონის წვრილი საკედლე ბლოკის წყობა მ-50 მარკის დუღაბზე.

რკ.ბეტონის კონსტრუქციებში მიღებულია მძიმე ბეტონი კლასით B25.

კორექტირებული პროექტის კონსტრუქციული ნაწილის ანალიზის შედეგად შესაძლებელია დავასკვნათ, რომ მიღებული გადაწყვეტები არ იქონიებს უარყოფით ზეგავლენას მთლიანად ნაგებობის სიმტკიცესა და მდგრადობაზე.

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლებადავას კვნათ, რომ ქ.თბილისში, სოფ. დიღომი (ნაკვ.№211) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კორექტირებული კონსტრუქციული ნაწილი დამუშავებულია საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნათა შესაბამისად, პროექტში დამუშავებული კონსტრუქციული გადაწყვეტები მისაღებია და რეკომენდაცია ეძლევა განსახორციელებლად.

შპს „ინტექსი“-ს
დირექტორი /თ.გოცირიძე/

საქართველოს მშენებელ ექსპერტთა
ასოციაციისწევრი,
ინჟინერ-კონსტრუქტორი /ა.კორკოტაშვილი/

პირადი №01030030182
მობ.ტელ. 599 18 86 52

ავტობიოგრაფია

მე, ავთანდილ ალექსანდრეს ძე კორკოტაშვილი, დავიბადე 1960 წლის 1 მაისს კასპის რაიონის სოფ. ახალქალაქში (გარიყულა), მოსამსახურის ოჯახში. ამჟამად ვცხოვრობ ქ.თბილისში, ნინოშვილის ქ.№21-ში.

1967-1977 წწ შევედი და დავამთავრე კასპის რაიონის სოფ.ახალქალაქის საშუალო სკოლა.

1977-1982 წწ ჩავაბარე და წარჩინებით დავამთავრე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი, სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის სპეციალობით.

1982-1997 წწ ვმუშაობდი ქ.თბილისის ზონალური სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ინსტიტუტში „თბილზნიეპი“, მსხვილპანელოვანი სახლმშენებლობის კომპლექსურ განყოფილებაში ჯერ ინჟინერ-კონსტრუქტორად, შემდეგ პროექტის მთავარ კონსტრუქტორად.

1997-2003 წწ ვმუშაობდი სამშენებლო ფირმა „აი-სი-ტი“-ს საპროექტო ჯგუფის მთავარ კონსტრუქტორად.

2003-2012 წწ ვმუშაობდი ს.ს. „თბილქალაქმშენი“-ს საპროექტო ცენტრის „თბილპროგრესპროექტი“-ს საპროექტო ჯგუფის უფროსად.

2012-2015 წწ ვმუშაოებდი შპს „ლაბორატორია“-ს ავარიულ შენობათა ტექნიკური მდგომარეობის შემსწავლელი განყოფილების უფროსად და წამყვან სპეციალისტად. ამჟამად ვმუშაობ შპს „ABTectonic“-ში საპროექტო ჯგუფის უფროსად. ვარ საქართველოს მშენებელ ექსპერტთა ასოციაციის წევრი.

მეუღლე – მარიკა ფილია, სპეციალობით ინჟინერ-მექანიკოსი, დიასახლისი.

შვილები – გურამ კორკოტაშვილი – სპეციალობით იურისტი, მუშაობს ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოში, დაოჯახებული.

ალექსანდრე კორკოტაშვილი – სპეციალობით არქიტექტორი, დროებით მუდმივი სამსახურის გარეშე, დასაოჯახებელი.



CURRICULUM VITALE+

სახელი, გვარი: ავთანდილ კორკოტაშვილი

მისამართი: ქ.თბილისი, ნინოშვილის ქ.№21

დაბადების ადგილი, თარიღი: კასპის რაიონი, სოფ ახალქალაქი 01.05.0960

Email: korkotashvili.sandro@yahoo.com

tel: 243 49 33, 577 95 33 83

განათლება 1977-1982წწ	საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, სპეციალობით სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა, ინჟინერ-მშენებელი
პროფესიული გამოცდილება 1982-1997წწ	– თბილისის ზონალური სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ინსტიტუტი „თბილზნიეპი“. მსხვილპანელოვანი სახლმშენებლობის კომპლექსური განყოფილება. ინჟინერ-კონსტრუქტორი, საპროექტო ჯგუფის უფროსი-წამყვანი სპეციალისტი, პროექტის მთავარი კონსტრუქტორი-მთავარი სპეციალისტი.
1997-2003წწ	– სამშენებლო ფირმა „აი-სი-ტი“-ის საპროექტო მიმართულების ხელმძღვანელი, ფირმის მთავარი კონსტრუქტორი.
2003-2012წწ	– ს.ს. „თბილქალაქმშენი“-ს საპროექტო ცენტრის „თბილპოგრესპროექტის“-ს საპროექტო ჯგუფის უფროსი
2012-2013წწ	– ს.ს. „თბილქალაქმშენი“-ს საპროექტო ჯგუფის უფროსი, პროექტის მთავარი კონსტრუქტორი.
2012-2015წწ	– შპს „ABTectonic“-ს საპროექტო ჯგუფის უფროსი, პროექტის მთავარი კონსტრუქტორი.
2012-2015წწ	– შპს „ლაბორატორია“-ს ავარიულ შენობათა ტექნიკური მდგომარეობის შემსწავლელი განყოფილების ჯგუფის უფროსი
2012-2015წწ	– სამშენებლო-საპროექტო ფირმა შპს „ტეტრისი“-ს მთავარი კონსტრუქტორი
მივლინება უცხო ქვეყნების სამშენებლო და საპროექტო ორგანიზაციებში	– რუსეთი – ქ.სოჩა, ტუაფსეს რაიონში, ქ.ნებუგე, ქ. ნოვოკუზნეცკი, ქ.მოსკოვი
საზოგადოებრივი მოღვაწეობა	– საქართველოს მშენებელ-ექსპერტთა ასოციაციის წევრი
სამუშაო ადგილი	– შპს „ABTectonic“-ს საპროექტო ჯგუფის უფროსი
შესრულებული სამუშაოების არასრული ჩამონათვალი	– 1-464 სერიის 5-9-12-14 სართულიანი ტიპიური მსხვილპანელოვანი საცხოვრებელი სახლები. ინჟინერ-კონსტრუქტორი. – 127 სერიის 5-9-12 სართულიანი ტიპიური მსხვილპანელოვანი სახლები. ინჟინერ-კონსტრუქტორი. – რუსეთის ფედერაციის ქ.კემეროვოში და ქ.ნოვოკუზნეცკში 9 სართულიანი მსხვილპანელოვანი ე.წ. „გამთიშველ კავშირებიანი“ სისტემის სახლები, ჯგუფის უფროსი. – რუსეთის ფედერაციაში, ტუაფსეს რაიონში ქ.ნებუგე სანატორიუმის კომპლექსის მთავარი კორპუსი მოცულობით ყალიბებში. პროექტის მთავარი კონსტრუქტორი. – 1991 წლის მიწისძვრებით დაზიანებული შენობა-ნაგებობათა ტექნიკური მდგომარეობის შესწავლა და მათი რეაბილიტაციის პროექტის შედგენა.

	– ქ.თბილისში, გლდანის რაიონში 13 და 16 სართულიანი ჩარჩო-კავშირებიანი ტიპის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი. პროექტის მთავარი კონსტრუქტორი. – ქ.თბილისში, მუხიანის დასახლებაში 12 სართულიანი ჩარჩო-კავშირებიანი ტიპის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი. პროექტის მთავარი კონსტრუქტორი. – ქ.თბილისში, კოსტავას ქუჩაზე 21 სართულიანი საცხოვრებელი სახლი ე.წ. ურიგელო გადახურვის სისტემით. პროექტის მთავარი კონსტრუქტორი. – ქ.თბილისში, სანდრო ეულის ქუჩაზე არსებული კარკასული ტიპის შენობის აღდგენა-რეაბილიტაცია. პროექტის მთავარი კონსტრუქტორი. – ქ.თბილისის, მრავალ ადგილას 7-8-9 სართულიანი საცხოვრებელი სახლები. პროექტის მთავარი კონსტრუქტორი. – ქ.თბილისში და საქართველოს რეგიონებში 2-3 სართულიანი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები. პროექტის მთ. კონსტრუქტორი. – ქ.თბილისში და საქართველოს რეგიონებში მსხვილბლოკური, მსხვილპანელოვანი, კარკასული, აგურისა და სხვა ტიპის შენობა-ნაგებობათა ტექნიკური მდგომარეობის შესწავლა, მათი გამაგრება-გაძლიერება და რეაბილიტაცია. პროექტების მთავარი კონსტრუქტორი. – ქ.თბილისში და საქართველოს რეგიონებში კლასიკური გადაწყვეტებისა და ასევე ე.წ. შესამოსელი საყრდენი კედლები. პროექტის მთავარი კონსტრუქტორი. – საპროექტო-სამშენებლო და დეველოპერულ ფირმებში, მიწვევით, პროექტების მთავარ კონსტრუქტორად.

დიპლომი

წარჩინებით

Ч № 753955

ეს დიპლომი მიეცა ავთანდილ ალექსანდრეს ძე
კორკოდაშვილს
მასზე, რომ იგი 1977 წელს შევიდა
საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის
პოლიტიკურ ინსტიტუტში
და 1982 წელს დაამთავრა
ლენიშნული ინსტიტუტის

სრული კურსი სპეციალობით საშრეფელო
და საშოქალაქო შშენებლობა

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1982 წ.
„26" 06 გადაწყვეტილებით
ა. ი. კორკოდაშვილს მიენიჭა ინჟინერ-
შშენებლის
კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო
კომისიის თავმჯდომარე
რექტორი
მდივანი

[signature]

[illegible] 1982 წ. „9" X

[illegible] № 15523

ДИПЛОМ

С ОТЛИЧИЕМ

Ч № 753955

Настоящий диплом выдан Коркоташвили Автандилу Александровичу
в том, что он в 1977 году поступил
в Грузинский политехнический институт им. В.И. Ленина
и в 1982 году окончил полный курс
названного
института
по специальности промышленное и гражданское строительство

Решением Государственной экзаменационной
комиссии от „26" 06 1982
Коркоташвили А.А.
присвоена квалификация инженера
строителя

Председатель Государственной экзаменационной комиссии [signature]

Ректор [signature]

Секретарь Кахмани Л.

М. П.

Город Тбилиси „9" X 1982

Регистрационный № 15523

Московская типография Гознака. 1967.